თსუ რექტორის 2017 წლის 13 სექტემბრის **N174/01-01** და 2017 წლის 06 ნოემბრის N**229/01-01** ბრძანებების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), 2017 წლის 13 სექტემბრის **N175/01-01** და 2017 წლის 06 ნოემბრის N**230/01-01** ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), 2017 წლის 13 სექტემბრის **N176/01-01** და 2017 წლის 06 ნოემბრის N**231/01-01** ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ - პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N**124/2017** 2017 წლის 06 ნოემბრის სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2.

<u>**სხდომას ესწრებოდნენ**</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

ალექსანდრე ალადაშვილი (თსუ პროფესორი) - მოადგილე

ზურაბ ჩხაიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი

<u>**დღის წესრიგი:**</u>

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალაქსანდრე ცისკარიძის მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი თამარ რუხაძის მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ

კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი ნოე ჯორბენაძის მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება;

პათოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძის მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება.

<u>მოისმინეს:</u>

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალაქსანდრე ცისკარიძის, მედიცინის დოქტორი თამარ რუხაძის, მედიცინის დოქტორი ნოე ჯორბენაძის, მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძის მინი მოხსენება მათ მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თვმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა ასევე დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ისინი სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ალექსანდრე ალადაშვილმა და **ზურაბ ჩხაიძემ.**

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ ალექსანდრე ცისკარიძეს, თამარ რუხაძეს, ნოე ჯორბენაძე და მიხეილ ჯანგავაძეს, მათ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწობას და მიაჩნიათ ისინი ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 12 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის სამივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალაქსანდრე ცისკარიძის, ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიურ

თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი თამარ რუხაძის, პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი ნოე ჯორბენაძის და პათოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძის არჩევას.

<u>**დაადგინეს:**</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ცისკარიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორად;
3. მედიცინის დოქტორი თამარ რუხაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორად;
4. მედიცინის დოქტორი ნოე ჯორბენაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად;
5. მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

ალექსანდრე ალადაშვილი (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_____

ზურაბ ჩხაიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი